ოქმი:**ო37. 37262382**

თარიღი:**26/08/2026**

ოქმი N23

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

2026 წელი, 25 აგვისტო

ქ. ოზურგეთი

12:00 -12:40-
საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია **-** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: დ. კიკვაძე, ტ. აროშიძე, პ. კიღურაძე, დ. ჭაკნელიძე, ქ. ხომერიკი, ბ. თოიძე, დ. ხურციძე, ე.გორდელაძე, გ. ჩავლეშვილი, მ. ჩხიკვიშვილი.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მიაწოდა ინფორმაცია კვორუმზე, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 11 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ გააცნო სხდომის დღის წერიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი"-თ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა განსაზღვრისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, მისი წარმოების, გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 ივნისის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი

2.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამის (პროგრამული კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ”-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

მარიკა ჩხიკვიშვილი

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შავი ზღვის სანაპირო ზოლში ზომამცირე გემების ბაზირების პუნქტების ადგილების განსაზღვრის შესახებ” - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 ივლისის განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

გადაწყვიტეს:

ბიუროს სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი სამივე საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში, კერძოდ N1,3 საკითხი განხილვისა და დამტკიცების, ხოლო N2 განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე